

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ,  
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის

ოქმი N 12

ქ.ვანი, თავისუფლების ქ. N65

24 აპრილი 2018 წელი  
14:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გელა ჩიკვაძე, გიორგი ივანიაძე, შალვა ლორთქიფანიძე, ოლეგი მიქელთაძე, რამაზ არველაძე, გელა ვარდოსანიძე, თამარ შენგელია.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

/დანართი N1/

საპატიო მიზეზით სხდომას არ ესწრებოდა: კობა ტოხვაძე, ვარლამ გიორგაძე.

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - გელა ჩიკვაძე (კომისიის თავმჯდომარე)

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - ლუბა კიკაბიძე

## დღის წესრიგი

1.,სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 19 მარტის N16 დადგენილების დანართში ცვლილების შეტანის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 15 მარტის N96 დადგენილება.

მომხს: გიორგი ივანიაძე

2. ვანის მორაგბეთა კლუბი (კავშირი) არგოს 2007 წელს დაფუძნების შესახებ ინფორმაციის მოსმენა.

მომხს: გელა ჩიკვაძე

3. სხვადასხვა.

**გადაწყვეტის:** დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

**მოისმინეს:**

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ბატონმა გიორგი ივანიაძემ კომისიის წევრებს გააცნო „სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 19 მარტის N16 დადგენილების დანართში ცვლილების შეტანის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 15 მარტის N96 დადგენილება.

მომხსენებელმა მოკლედ განმარტა, რომ მთავრობის ადმინისტრაციიდან მოვიდა შენიშვნა, რომ ის მიწები რომლებიც არც სახელწიფო, არც მუნიციპალურ და არც კერძო საკუთრებაშია, მათი დაკანონების წესს განსაზღვრავს შესაბამისი კანონმდებლობა. აქედან გამომდინარე ადგილობრივი მუნიციპალიტეტის დადგენილება არ არის საჭირო და საკრებულოს 2018 წლის 15 მარტის N96 დადგენილება გამოცხადდა ძალადაკარგულად.

**გადაწყვეტის:**

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 19 მარტის N16 დადგენილების დანართში ცვლილების შეტანის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 15 მარტის N96 დადგენილება.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

**/დანართი N2/**

მომხრე - 7

წინააღმდეგი - არცერთი

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა სხდომის თავმჯდომარემ ბატონმა გელამ, კომისიის წევრებს გააცნო ვანის მორაგბეთა კლუბი (კავშირი) არგოს დაფუძნების შესახებ ინფორმაცია;

**კერძოდ:**

როგორც თქვენთვის ცნობილია 2007 წელს დაფუძნდა და რეგისტრირებული იქნა ვანის მორაგბეთა კლუბი (კავშირი) „არგო“.

ვანის მორაგბეთა კლუბ „არგოს“ გამგეობის თავმჯდომარედ არჩეული იქნა ლაშა ხურციძე, ხოლო კლუბის აღმასრულებელ დირექტორად ნატული დვალიშვილი.

დღიდან დაფუძნებისა კლუბს მატერიალურ და ფინანსურ დახმარებას უწევდა ბატონი ბეჟან ხურციძე, რომელიც ვანის მაჟორიტარი დეპუტატი იყო. ის ამ კლუბის მეცენატი გახლდათ მანამ, ვიდრე გარდაიცვლებოდა.

ვანის ახალგაზრდობა სპორტის ამ სახეობით განსაკუთრებით დაინტერესდა. გარკვეულ შედეგებსაც მიაღწია.

ვანის საზოგადოების უმეტესმა ნაწილმა გამოთქვა სურვილი ქ. ვანის ტერიტორიაზე მშენებარე რაგბის მოედანს მიენიჭოს ბატონ ბეჟან ხურციძის სახელი.

ვითვალისწინებთ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N39 დადგენილებას - „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ და საქართველოს კანონს - „გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ - (შესაბამისი მუხლებისა და პუნქტების გათვალისწინებით). რის საფუძველზეც შემოვდივართ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინაშე ინიციატივით, რომ აღნიშნულ მოედანს მიენიჭოს ბეჟან ხურციძის სახელი.

### **გადაწყვეტის:**

კომისიის წევრებმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ კომისია სამუშაო ჯგუფის ფორმატით ჩაერთვება სახელდების საკითხების განხილვაში და წარმოდგენილი საკითხი განხილვების შემდეგ მზად იქნება, რომ გავიდეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

*/დანართი N 3/*

მომხრე - 7

წინააღმდეგი - არცერთი

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

**გელა ჩიკვაიძე**  
**საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო,**  
**საპროცედურო საკითხთა და ეთიკის**  
**კომისიის თავმჯდომარე**